ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4360994

ნომერი: AR1658064

თარიღი : 29.01.2019

გაცემის თარიღი : 04.02.2019

გაცნობის თარიღი : 06.02.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა, N 17ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურაზ ნადირაშვილი პ/ნ 01006009730
- თბილისი დიღმის მას. I კვ. კორ. 1ა ბ. 26

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- III კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2917959
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 31.10.2016

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილათქვენს მიერწარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელშიც დაფიქსირდა ხარვეზები, კერძოდ:

-4.00 ნიშნულზე გაზრდილია პანდუსის დახრა, 0.00 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია პანდუსები და ბაქნები. ,,4-5" და ,,დ-ბ" მონაკვეთში გაზრდილია პანდუსის დახრა და ბაქნის გაბარიტები, დამატებით მოწყობილია კონდიციონერები და წყალშემკრები მილები. შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა, კერძოდ ტერიტორიაზე დამატებით მოწყობილია ბეტონის და მავთულბადის ღობე რის ხარჯზეც ,,ლ-კ" მონაკვეთში გაუქმებულია სპეციალური ქვაფენილით გამწვანება. პანდუსები და ბაქნები სცდება წითელ ხაზებს.

1. პანდუსები და ბაქნები მოაქციეთ საკადასტრო საზღვრებში. წარმოადგინეთ შეთანხმებული პროექტის დარღვევით მოწყობილი პანდუსების და ბაქნების ანაზომი ნახაზები გაბარიტული ზომებისა და დახრის პროცენტის დატანით. ასევე წარმოსადგენია ტერიტორიის კეთიმოწყობის ანაზომი და გამწვანებული ფართის საანგარიშო პოლიგონალური ხაზები (კროკი) ფართობის მითითებით. ანაზომი ნახაზები დამოწმებული უნდა იყოს ქ. თბილისის მუნიციპალური ინსპექციის მიერ. საპროექტო ობიექტი მოიყვანეთ შესაბამისობაში დადგენილ სამშენებლო ნორმებთან მიმართებაში და წარმოადგინეთ აღნიშნული დარღვევების გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტი გაცემული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ინსპექციის მიერ.

2. საჭიროა წარმოდგენილი იქნას საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებული, სახელმწიფოსთან არსებული ვალდებულების საფუძველი და საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფოს თანხმობა.

3. დამატებით წარმოადგინეთ სპეცილაისტის მიერ დამოწმებული სამშენებლო დოკუმენტის დარღვევით ნაწარმოები მშენებლობის საექსპერტო (კონსტრუქციული) დასკვნა და ინფორმაცია შემსრულებელი ექსპერტის შესახებ.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.